

ნერვების გამოცდის წამზომი ჩაირთო

გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა" – 11 აპრილი, №68-72, 2009

რუსთაველის გამზირი კვლავ პარალიზებულია. აქ ყოველ გაზაფხულს წყველასაგით ყვავილებს ცრემლები და მწუხარება ერწყმის.

ახლაც „გაზაფხულის ოპოზიცია“ ისევ ქვეყნისთვის იბრძვის. რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი ათასი ადამიანი დადგება პარლამენტთან, ბევრად მეტი ხომ მიტინგზე ვერ მივა, მაგრამ ან ერთი მხარე, ან მეორე იტყვის, რომ საქართველო ვინმეზე ნაკლებად უყვარს?! „ნერვების გამოცდის“ წამზომი ჩაირთო და გამძლეობაზეა მთელი საზოგადოება: ზოგი მიშას უთვლის წამებს, ზოგიც ოპოზიციას, მაგრამ არიან ისეთი „გულშეღონებული ქალბატონებიც“, რომლებსაც რუსთაველზე შვილების გასეირნება უნდათ, მაგრამ მიტინგი ხელს უშლით (!). ეტყობა ასეთებისთვის სამშობლო და შვილი აბსოლუტურად, განსხვავებული მცნებებია.

ყველას მაინც ერთადერთი კითხვა აწუხებს – რა მოხდება, რა იქნება ხვალ?

მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით კომენტარი ექსპერტ ლადო პაპავას ვთხოვეთ.

– ბატონო ლადო, ერთ-ერთ წინა ინტერვიუს დროს მახსოვს ასეთი რამე თქვით, მირჩევნია, სააკაშვილი 2013 წლამდე ავიტანო, ვიდრე ქვეყანაში დესტაბილიზაცია დაიწყოს.

– მე ვთქვი ასეთი რამე?

– დიახ, ასე მახსოვს, თუმცა დესტაბილიზაციას ვერ ავცდით. ოპოზიცია 9 აპრილს ქუჩაში გამოვიდა.

– სააკაშვირილი დარჩეს 2013 წლამდეო, ეტყობა სხვა კონტექსტში ითქვა, უბრალოდ მე ასე მარტივად ამას არ ვიტყვდი. ისე კი დესტაბილიზაცია, რომ ქვეყნისათვის ძალიან ცუდია ესეც უნდა გავითვალისწინოთ. თანაც უნდა გვახსოვდეს, რომე დესტაბილიზაციას ხელისუფლების უგუნურება იწვევს ხოლმე...

– დღეს რას ფიქრობთ, ხალხის პროტესტს რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს?

– დღეს ვფიქრობ, რომ დიალოგის დაწყების შესაძლებლობა ჯერ-ჯერობით არ არსებობს. ხელისუფლებაც და ოპოზიციაც თავის პოზიციაზეა. ოპოზიციას ერთადერთი მოთხოვნა აქვს – გადადგეს სააკაშვილი, ამ თემაზე კი ხელისუფლებას მსჯელობაც არ უნდა. სამაგიეროდ, დიალოგს სთავაზობს ისეთ კურიოზულ თემაზეც კი, როგორც მსოფლიო გლობალური კრიზისია.

– ეს კურიოზული თემაა?

– რა თქმა უნდა, წარმოგიდგენიათ, ოპოზიციასთან ამ თემაზე საუბარი, მაშინ, როცა ეს საკითხი ლონდონშიც კი ვერ გადაწვეიტეს საბოლოოდ. მითუმეტეს, რომ ხელისუფლებას ჯერ ისიც კი არ უღიარებია, რომ ჩვენს ქვეყანაში საკუთარი ქმედებებით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი არსებობს, რომელსაც გლობალური ეკონომიკური კრიზისი ამძიმებს.

– რას უნდა ველოდეთ?

– ოპოზიცია არ იტოვებს არანაირ შესაძლებლობას, უკან დაიხიოს, ან ერთი თემა ჩაანაცვლოს მეორეთი, ვთქვათ პარლამენტის კვლავ არჩევნების თემა, თუმცა ჩემდა გასაკვირად ხელისუფლება ამასაც კი არ სთავაზობს. ის მხოლოდ პროცესებს აკვირდება და ფიქრობს, ვნახოთ, ვნახოთ, რამდენ ხანს გაძლებს ოპოზიცია ქუჩაში.

მაგრამ ხელისუფლებას ხალხის შიში აქვს, განსაკუთრებით დიდი ოდენობის ხალხის და ჩვენ ეს ბოლო წლებში ვნახეთ კიდევ. მაგალითად, როცა იყო აქციები უნივერსიტეტთან, სპორტის აკადემიასთან, ან თუნდაც სალარო აპარატებთან დაკავშირებით, ამ მასშტაბების აქციები ხელისუფლებას არ აშინებდა.

რაც შეეხება გუშინდელ აქციას, ის იყო ობიექტური რეალობის გამოვლენა წლების განმავლობაში დაგროვილი პროტესტისა. მით უმეტეს, რომ რეგიონებიდან მცირე ხალხი იყო ჩამოსული და მიტინგმა თბილისის მხრებზე გადაიარა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში ზოგადად უარყოფითი განწყობა არ არის.

– რა მოხდება რომ დარჩეს სააკაშვილი?

– საყურადღებოა, რომ ხელისუფლება რეალურად სხვა იმ პირობის შემსრულებელიც არ არის, რის გამოც დიალოგს ითხოვს. ახლაც ბევრი რამე ისეთია გასაკეთებელი, რაც რეალურად შეუძლია გააკეთოს, მაგალითად,

დააბრუნოს მწერალთა სახლი, სპორტის აკადემია, დაუბრუნოს ქონება კომპოზიტორებს, დაუბრუნოს ჟურნალისტებს გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობა. მაგრამ ხელისუფლება ამას არა მარტო არ აკეთებს, არამედ ერც ფიქრობს ამ მიმართულებით რაიმის გაკეთებას!

სხვა საქმეა ის, რომ სააკაშვილი უკვე ქვეყანას უქმნის საფრთხეს; თუ გავიხსენებთ მის გამოსვლებს, შეურაცხმყოფელ სიტყვებს სომხეთის, უკრაინის თუ გერმანიის მისამართით, უნდა ვადიაროთ, რომ ეს ართულებს ქვეყნის საგარეო ურთიერთობას.

– და რა იქნება ხვალ?

– ხვალ რა იქნება ამის პროგნოზირება რთულია. სააკაშვილი გადადგომას არ აპირებს, მაგრამ მისი მორიგი ნაბიჯები კიდევ უფრო რთული განსასაზღვრელია.

ყველაფერი დამოკიდებულია „ნერვებზე“ ვისაც პირველი უმტყუნებს ნერვები, წაგებულებს ის იქნება.

თუკი ხელისუფლებამ აღდგომამდე გაძლო, ამ ეტაპზე მისი დარჩენის შანსი მეტია, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის 2013 წლამდე უსათუოდ დარჩება...

ესაუბრა თეა მოსია